

თეატრი

№ 36

საყოველ-კვირბა ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

№ 36

7 სექტემბერი

გამოცემა ყოველ კვირარაობით

1886 წელს.

ესაი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. Xსხვევარ წლით.... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. ვანტორაში აწერისეულ ქარკას. ფოთში ბ-ნი ბესარიას კადასდაქსთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისეილება: **თბილ ისში**: ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში, შვედროვის სააგენტო კონტორაში, ალისანოვის პაპიროზის მალაზიაში, ხილის ყურთან. **ქუთაისში** ქილაძეთ წიგნის მალაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექსონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყენენ დაწერილნი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“⁶⁶ Галерея быв. Арцруни № 110.

„თეატრის“ რედაქცია საყოველთაოდ უცხადებს იმ ბ-ნი ხელის მომწერთ, რომელთაც მხოლოდ ოთხი მანეთი აქვთ შემოტანელი, კეთილ ინებონ და დაუქართან დახანჩენი 2 მან. გამოგზავნას, ანთა ჰიარკელის სეკტემბრადამ არ მოკსპოთ გაზეთის გზავნა. ახალი ხელის მომწერლებისათვის გაზეთი „თეატრი“ 1 სექტემბრიდამ წლის დამლეკამდე ღირს ორი მანეთი.

მოკლე გიოგრაფიული ცნობანი

ვოლტერი

(კუბდენი აკაგი წერეთელს)

„დიდი და გამოჩენილი კაცი ის არის, ვინც დიდს სარგებლობას მოუტანს კაცობრიობას“.

ვოლტერი.

არამც თუ ერთი კაცი უმეოროდ განვითარებას ვერ შეიძლებს, არამედ არც ერთი ერი, არც ერთი

ტომი, არც ერთი ხალხი, უმეორა ტომით ნაბიჯს ვერ გადადგამს ისტორიულს სარბიელზედ. ჩვენს ვერ ვიტყვით ვერაფერს ახალს, ვერაფერს შესამჩნევს, ვერაფერს საფუძვლიანს, თუ ცოტათი მაინც არგვექნება შესწავლული ყველაფერი ის, რაც ჩვენამდე ყოფილა, როგორც ჩვენი, აგრეთვე უცხო ტომეოვნებისა. ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა.

ჩვენი აწმყო მომდინარეობს ჩვენის წარსულიდან, ჩვენი მომავალი დამოკიდებულია ჩვენს აწმყოზე, მაგრამ არა მარტო ჩვენზედ—აგრეთვე სხვებისაზედაც: ყველა ისტორიულ ხალხთა შორის არსებობს განებითი კავშირი, რომელიც გამოიხატება მათი ერთ-მეორესთან დამოკიდებულობით და თანხომბით სწავლა-განათლებაში და ლიტერატურაში.

ყოველს ებოქას და განსაკუთრებით ყოველს შესამჩნევს, არა ჩვეულებრივს მოვლენას ცაცობრიობის ცხოვრებაში, უთუოთ ჰყავს თავისი მოთაფენი, თავისი წინამძღომენი, რომელნიც ჭკუის სიღრმით

მიჰგვანან დევს, რაღაც ფანტასტიურ არსებათ—მათი სახელი გენიოსია. მე XV III საუკუნის ერთი დევთაგანი, გამოჩენილი გენიოსთაგანი და უდიდეს კაცთაგანი უთუოთ არის ვოლტერი.

ვოლტერი დაიბადა პარიზში 21 ნოემბერს 1694 წელსა. მისი მამა უბრალო მოხელე იყო. ვოლტერის და მამის შორის ხშირად უკმაყოფილება ხდებოდა. მამას უნდოდა რომ შვილი უთუოდ რაზე სამსახურში შესულიყო, შვილს კი სამსახური პირივით ეჯავრებოდა და, რა თქმა უნდა, ახალ-გაზდა ვოლტერი უარზე იდგა. მამამ ბევრის ამო ცდილობის შემდეგ თავი დაანება შვილის «მორჯულებას» და ვოლტერს მიეცა «სანატრელი» თავისუფლება. ვოლტერმა სწავლა მიიღო იეზუიტების აკადემიაში, რომელიც იმ დროს შესაფერად პირველ და უმაღლეს სასწავლებელათ ითვლებოდა. საზოგადოთ იეზუიტების სკოლები მაშინდელ შავიერებს დიდს სწავლას აძლევდნ და საგულისხმო ის არის, რომ ყველა გამოჩენილი კაცები უთუოდ იეზუიტების სკოლებიდან გამოდიოდნ. ვოლტერი ჯერ კიდევ სულ ბავში იყო, როდესაც ერთმა იეზუიტმა რაღაც ეშმაკობისათვის ასე უწინასწარმეტყველა: «უბედურა! შენ უთუოდ კატალიცთ მოსისხლე მტერი შეიქნები!» საზოგადოთ ვოლტერს ბავშობიდანვე დაეტყო მოუსვენარი, პირვეული ხასიათი—ჯერ თორმეტის წლისა არც კი იყო, როდესაც ლექსების წერა დაიწყო, რომლებსაც მაშინათვე დაეტყო მხვილური მიმართულება—ესე იგი—სატირიკული.

პირველს გამოხვლასთანავე ცხოვრებაში და მწერლობის ასპარეზზედ—ვოლტერმა სიმწარის ფილა დალია. 1717 წელს რაღაც პატარა ლექსისათვის ვოლტერი გაურჩევლად და დაუკითხავად ბასტილის ციხეში ჩასვეს. თუმცა ამ «აბანოში» დიდს ხანს არ დარჩენილა, მაგრამ ვოლტერი მეტად გრძობიერი კაცი იყო და გამოსვლის უმალ ერთი სატირიკული ლექსი დასწერა..... ჯერ ჯერობით შიშა ვოლტერისათვის გაუგებარი სიტყვა იყო. 1718 წელს 18 ნოემბერს პარიჟს სკენაზედ წარმოადგინეს ვოლტერის პირველი ნაწარმოები დრამა «ელიზი». ახალ-გაზდა ავტორის სახელმა ერთბაშად მოჰფინა მთელი პარიზი და მერე საფრანგეთიც. ვოლტერსაც ეგ უნდოდა, რადგან ბავშვობიდანვე მეტად თავ-მოყვარე იყო. ბევრჯერ ახალ-გაზდა არისტოკრატებმა გაიცნეს «ელიზის» ავტორი, ყველგან იწვევდნ, ყველა პატივსა სცემდნ. თუმცა ვოლტერი ღარიბი იყო, მაგრამ ჩამოღობულად არაფერი არაფერი არ ჩამოუყვარდებოდა. ვოლტერის სურვილი იყო დიდ კაცობაში ყოფნა და მის

და სასიხარულოთ ადვილად მიაღწია თავის საწადელს, თუმცა ბოლოს კარგა ძვირად დაუჯდა «დიდ-კაცობა».

ვოლტერი ყოველს დღეს არისტოკრატებს შუა ბატარება დროებას. ერთხელ ვიღაც ახალ-გაზდა მარკიზმა ჰკითხა ვოლტერს: რამ გაიძულათ რომ გვარი გამოიცვალეთო. ამ უზღველს კითხვაზედ ვოლტერმა ჩვეულებრივის თავ მომწონეობით და ამპარტანობით უპასუხა-მარკიზი გაჯავრდა, ვოლტერმა უფრო აბუხად აიგდო, რაისგამოც მარკიზმა სილის გარტყმა დაუპირა. საქმე მორიგებით გათავდებოდა, მაგრამ ვოლტერმა მარკიზზედ მეტად შხამიანი სატირა დასწერა და 1726 წელს ვოლტერი ხელ-ახლათ ჩასვეს ბასტილიაში. თუმცა აქ დიდს ხანს არ დარჩენილა, მაგრამ მართებლობამ სამხლვარ გარედ გასვლა გადაუწყვიტა და ახალ-გაზდა მწერალი ნება-უნებლიედ იძულებულ იყო დამორჩილებოდა თავის ბედ-იღბალს.

აქ საჭიროდ ვხედავთ გავაგებინოთ მკითხველს, რომ ვოლტერის ნამდვილი გვარი იყო ფრანსუა მანა—არუე, ხოლო შემდეგ მარი—არუე ვოლტერზედ გადაკეთა და ამ სახელით საქვეყნოთ თავი იჩინა კიდევ. საზოგადოთ მაშინდელი მწერლები ხშირად იცვლიდნ თავიანთ გვარს და ამას არამც თუ საფრანგეთში შევხვდებით, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. ამბობენ ვითომც ვოლტერი მამის კანონიერი შვილი არ იყო. რამდენად მართალია ეგ ხმები ძნელი გასაგებია, თუმცა ერთს თავის ლექსში ვოლტერი ამბობს: «ჩემი ნიჭი უკანონო მხრით აპოლონისაგან არის შეთვისებულიო». ეგ აპოლონი უთუოდ პოეტი რომბრიუნი იქნება, რადგან ეგ ლამაზი პოეტი ვოლტერის დედის ძალიან ახლო ნაცნობი და მუდმივი სტუმარი იყო.

(გაგრძელდება.)

ვალეო-ია

თ ე ა ტ რ ი ს კ ვ ი რ ა

ხელოვნური პოეზია

თუმც არა მსურს ასე ეცხოვრობ!

(გულნი ვ. ღ. გ — ს.)

კინც მტანჯავს და სისხლს მიწუწწის,
მას მსურს მუდამ გამოჩილებდე.
მოსებას მთლად შეკეთავს,
ღღარ მინდა გაბატონებდე.
ტანჯავს არის ჩემთვის შეება,

ვ. ვაჩიანი

მასში ვხედავ სეტარებას:

თვით—უფლებას გერ ვითვასებ,
მსურს და ვეძებ სხვის მონებას!

როგორც სხსნა არსით ველი—
აღარც მინდა ვინმემ მისხსნა!
ვისაც ვეუფავ, არ დამინდობს,
ამას ვეტრფი და ის შეუვარს.

დღეს შენთან ვარ, ხედავ ამისთან...

ვინც მეტს მტანჯავს, ამას ვლოცავ,
ჭკუებს რომ თავს დამეცეს,
გმობას მაინც არ წავრამავ!

თუმც არა მსურს ასე ვინაგრობ:
სიამ არავას არა გმურას?!

— ეს ცხოვრება ადვილია,
მა გასწავლა ვისაც გმურას?

აგ—ნი ქა—ქე.

გამოცანა.

ბრალი ბრალად დანამტკუნია,
ხელაგნურად გამოქრალია,
აქით გორა, იქით გორა,
შუამიანც ერთი თსრალია,
ზედ ბაღასა არ ამადის,
არის მოლად სხსანსართა,
სადაც შედამ თავისუფლად
მომანქარებს ორი წყარო;
როს პირველად გადმოხეთქე,
სამურად იწეებს დენას,—
და ვინც დალოცს გერ გადისდის
გადსახსნადს იმოდენას.—

ზაველი.

(აღსნა—გული ძუძუები და რძე.)

თეატრი და მუსიკა

Въ 1884 году.

- 27 Тамара Батонишвили—თამარ ბატონიშვილი, драма въ 5 ти дѣйств., передѣланная съ романа Гр. Рчеулова, К. Месхи (съ исключеніями).
- 28 За Монастирской стѣной—მონასტრის ზღუდით შორის, драма Луиджи Камолети, передѣланная съ русскаго сокращенно, для сцены, А. Цагарели.

- 29 Утро послѣ свадьбы—დღისა ქორწილის შემდეგ, вод. въ одномъ дѣйствіи, соч. А. Казбека.
- 30 Маскарадъ—მასკარადი, драма въ 4-хъ дѣйств., соч. Лермонтова, перев. Г. Цинамдзგვარова.
- 31 Горе отъ ума—ვიო ჭკვისაგან, ком. 4-хъ дѣйств., соч. Грибоѣдова, перев. Григорія Цинамдзგვარова.
- 32 Размолька—ბუტობა, вод. кн. Акакія Петели.
- 33 Я хочу быть княгиней—მე მინდა კნეინა გავხდე, ком. въ 2-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 34 Мужъ пяти женъ—ქმარი ხუთის ცოლისა, ком. въ -хъ дѣйств., соч. Антонова.
- 35 Развѣ? дядя женился гана ბიძამ ცოლ შეირთო, ком. въ 2-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 36 Свадьба Хевсурцевъ—ქორწილი ხევსურებისა, ком. въ 2-хъ дѣйств., соч. его же.
- 37 Затмѣніе солнца въ Грузіи—მზის დაბნელება საქართველოში, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 38 Корь-оглы—ქორ ოგლი, трагедія въ 4-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 39 Путешествіе съ Литераторовъ на плотяхъ—ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 40 Чудакъ—ბაიუში, комедія—ფარსъ въ 2-хъ дѣйств., соч. А. Цагарели.
- 41 Что видѣлъ того не увидишь—რაც გინახავ ვეღარ ნახავ, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. Цагарели.
- 42 Судьба правдивыхъ—ბედო მართალთა, драма въ 5-ти дѣйств. соч. Григорія Церцვაдзе.
- 43 Король Лиръ—მეფე ლირი, трагедія Шекспира, перев. кн. Ил. Чавчавадзе и кн. Пв. Мачабели.
- 44 Семья преступника—დამნაშავეს ოჯახსა, драма въ 5-ти дѣйств., соч. Джиокомети.
- 45 Ангелъ доброты и невинности—კეთილი და უმბნკო ანგელოზი, ком. въ 3-хъ дѣйств., передѣланная съ русскаго кн. Д. П. Эрстотовымъ.
- 46 Хатабала—ხათაბალა, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. Г. Н. Сунდუკიძე.
- 47 Обернулось веретено—დატრიალდა ჯარა, вод. пер. к. Кипіანი.
- 48 Привидѣніе—მოჩვენება, вод. соч. и Бах-

- თალზე.
- 49 Бѣшеный американецъ—ბრაზიანი ამერიკელი, вод., пер. Д. Месхи.
- 50 Арсень—არსენა, драма въ 3-хъ дѣйст. соч. А. Мочхубаридзе. (Казбека)
- 51 Венеціанскій купецъ—ვენციელი ვაჭარი, драма въ 4-хъ дѣйст., соч. Шекспира, перев. Д. Кивiani.
- 52 Двѣ сиротки — ორი ობოლი ქალი, драма въ 5-ти дѣйст., 8 карт. сокращ. перв. А. Цагарели.
- 53 Парижскій кинто (мальчикъ)—პარიველი კინტო, ком. въ 2-хъ дѣйст., перев. съ франц. кн. Д. Эристова.
- 54 Шутка съ дядошкою—ბიძისთან გამობურება, оперетка—вод. въ одномъ дѣйствіи, перед. кн. Рафаля Эристова.
- 55 У парикмахера—პარიკმახერის, вод. въ одномъ дѣйствіи, соч. кн. Рафаэля Эристовა.
- 56 Кварь-кваре атабекъ—ყვარყვარი ათაბეგი, драма соч. кн. Эристова.
- 57 Въ темной комнатѣ или на хлѣбъ и на воду—მწვანე ოთახში, шутка водевилъ въ одномъ дѣйствіи, перев. съ русскаго LV.
- 58 Пепо—პეპო, ком. 3-хъ дѣйст., соч. Гаврила Сундукянца.
- 59 Разоренный домъ (семья)—დაქცეული ოჯახი, ком. въ 3-хъ дѣйст., соч. его же.
- 60 Жоржъ Данденъ—ჯორჯ დანდენი, ком. въ 3-хъ дейст., соч. Мoliერა.
- 61 Матико—მატიკო, драма въ 5-ти дейст., соч. Авксентія Цагарели, (съ исключеніями).
- 62 Помѣшанная — შეშლილი, ком.—поэма, соч. Георгія Эристовა, (съ исключеніями).
- 63 Шапка невидимка—უჩინ მახინს ქული. ком. соч. его же.
- 64 Тилимисъ хани или заколдованный—პრინცი თილისმის ხანი, ком. соч. его же.
- 65 Горе отъ ума—ვაი ჭკვისაგან. Нѣсколько отрывковъ, соч. Гробоѣдова перев. его же.
- 66 Доходное мѣсто—შემოსავლიანი ადგილი, ком. въ 5-ти дუიქტ., соч. Островскаго, перев. съ русскаго LV.
- 67 Заблудшія овцы—გზა დაბნეული ცხოვარნი (გზა დაკარგულნი ცხვრები) ком. въ 4-хъ дѣйст., соч. Островскаго перев. А. Джабадари.
- 68 Любовь молодой женщины—სიყვარული ახალ-გაზდა ქალისა, драма въ 3-хъ дейст., соч. К. Колубанскаго.
- 69 Трудовой хлѣбъ—შრომით ნაშრომნი პური, ком. въ 4-хъ дѣйст., соч. Островскаго, перев. LV.
- 70 Сваха—მაკბეკალი, ком. въ 2-хъ дѣйст., передѣл. изъ Кація Адаміани кн. И. Чавчавадзе.
- 71 Адвокатъ Меладзе—ადვოკატი მელაძე ком. въ 2-хъ дѣйст., перед. к. И. Мачабели.
- 72 Качагъ Како Бгачишвили—ყახალი კაკო ბლაქია-შველი, драматическій эпизодъ въ 5-ти дѣйст., 7 карт., соч. Валеріана Левановича Гунія (съ исключеніями).
- Въ 1885 году.*
- 73 Анука Батонишвили—ანუკა ბატონიშვილი, драма въ 3-хъ дѣйст., перед. изъ повѣсти Рчоулова, Д. Месхи, (съ исключеніями).
- 74 Демонъ—დემონი, драматич. сцена изъ поэмы Лермонтова, перев. кн. Мамія Гуріели.
- 75 Эдмондъ Кинъ или Геній и бузпутство—ედმონდკინი ან სალახანობა და გენიოსობა, ком. въ 5-ти дѣйст., соч. Александра Дюма, перев. съ русскаго Валеріана Левана Гунія.
- 76 Ворожейка—მკობხიგი, ком. фарсъ въ 3 дѣйст., перед. А. Цагарели.
- 77 ელანდელი სიყვარული (нынѣшняя любовь) комед. въ 4-хъ дѣйст. перед. В. Абашидзе.
- 78 ცალი თუ გინდათ ეს არის! (Вотъ такъ жена!) Водевиль въ 1-мъ дѣйст. соч. В. Абашидзе.
- 79 დაე.ერიდეთ ცეცხლსა(Осторожнѣе съ огнемъ) комед. въ дѣйст. перед. М. М. Сапаровой—Абашиდაე.
- 80 ჯერ დედა (Прежде маменька) комед. въ дѣйств., перрв. Metisova.
- 81 ალერსთა ბაღე (въ сѣтяхъ любезностей) комед. въ 4-хъ дѣйств. перед. Н. Умикашвили.
- 82 საძაგელი (Чудовище) комед. въ 2-хъ дѣйств. перед. кн. Д. Эристовимъ.

ფელეტონი:

ხალხური პოეზია

ამ ძაღლსა, მელეში-შვილსა უჭებენ ხელსა, ფესსაო:
 ისე სმარობდა ხელ ფესსა, ვით შავარდენი მხრებსაო.
 ყვარელში ქალსა ენუგარის წმინდა გიორგის ექასაო.
 ისე წავიყვან იმ ქალსა, წვერსაც არ მოვტეს ხმალსაო.
 ყვარელში ჯარი შავიდა ფერი ცვალაობის დღესაო,
 ქალი და რძალი წასსხა, გადაუყენა მთებსაო;
 საში დღე-ღამე ატარა, ქოში არ ატარან ფესსაო,
 ერთს სასახლეში შარკაა შეიდას დღესა და ღამესაო,
 ლეკებსა ეუბნებოდა მე გიბეჯადეთ დღესაო,
 საკელადოში ავიყვან, შიჯ ამოკარჩევ ერთსაო.
 შავიდა ამაწინა... ტანი მიუტყავს ლერწამსა,
 და ზირის სასე მესასაო; მოდი ღამაზო დაბძანდი,
 ნუ მოიკრებ ძმებსაო; მიჭყვანდა მოასლეკები,
 შამო-უსსამდა გვერდსაო, მიჭყვანდა ზირის ფარეში
 დასეკებდა თავსაო.—შე, ძაღლო, მელეში-შვილო
 როგორი სიტყვის თავია, მამას გამომიტყერ ყელი,
 ძმებსა მიტყე ხმალია, როგორ არ მამაგონდება
 ჩემი გაყვანი ქმარია, მელეში-შვილო გაგიწერეს
 წმინდი გიორგის ჯვარია.

(შეკრებილი ღ. დოლოფობისაგან.)

„ჩარინამას“ ხმაზე

ჩარი რამა მკდანჯლო,
 ჩემო დამწველ-დამღაგველო.
 ჩარი რამა გულქანაო,
 თეთრ-ფუნჩულა სუქანაო,
 შენმა მყვალ თვალ-წარბებმა
 ჩაატანა გულთანაო.
 ჩარი რამა ბუბიაო,
 აბრეშუმმა გვიღალატა—
 ხამხამ მინც ბეჭრიაო.
 ჩარი რამა ბიცოლაო,
 ჩვენ შიმშილით ვისოცებით,
 არა გამოგვიტყვარაო.
 ჩარი რამა ბაბუაო,
 ქართულ თუთუნს ვერ გიშოვნო—
 მახორკამა... გაბრუაო.

(შეკრებილი სოსიკოსაგან)

ამბავი ტეატრის გამო

ხმა სხვა-და-სხვა კუთხიდან

(ქ. ფოთი, 4 სექტემბერს 1886 წელს)

ფოთის ქართველ საზოგადოებაში გვირგვინა რა-
 მდენიმე პირები, რომლებიც ხანდისხან მართვენ
 ხოლმე ქართულს წარმოდგენებს აქაურს კლუბში
 სხვა-და-სხვა სასწავლებლების, საზოგადოებათა და
 კერძო პირთა სასარგებლოდ. ამით ორნაირი სარ-
 გებლობა მოაქვთ: ერთი—ვის ან რისთვისაც არღ-
 გენენ და მეორე,—საზოგადოებაში თეატრის მნიშ-
 ენელობას აფრცვლებენ და ესტატიურს საზრდოს
 აძლევენ იმისთანა ხალხს, რომელთაც ყოველ გვარი
 გონებრივი და ზნეობრივი გაღვიძება მეტად ეჭირე-
 ბათ.—

ეს პატივცემული პირები მუდამ მზად იყვნენ და
 მზადაც არიან ყოველის კეთილის საქმისთვის შრომა
 გასწიონ. უადგილო არ იქნება გვაცნო მკით-
 ხველებს ხსენებული პირები. ესენი არიან ფოთის
 სასწავლებლის მასწავლებელი: ბები კ. გაბრიჭიძე,
 პ. საულიძე, პ. ინასარიძე, ა. გამყრელიძე, ე. ჩაგუ-
 ნაეა და პ. ივზოვი; ამითან ერთად მონაწილეობას
 ლეზულობენ, რანაკვირველია, აგრეთვე ქალებიც და
 კიდევ სხვა პირებიც. ყველა ესენი კარგად თამაშო-
 ბენ და რამოდენიმე მათშორის დახელოვნებულნი
 არიან კიდევ სასცენო საქმეში. ამის გამო დიდი სა-
 სიამოვნო და სასარგებლო იქნებოდა, რომ ამ პი-
 რებს ერთი წარმოდგენა მაინც გავმართათ სცენის
 სასარგებლოდ და შემოსავლით ეყიდნათ, რაც აუცი-
 ლებელ საჭიროებას შეადგენს სცენისათვის და, თუ
 მაინც სრულის შემოსავალის გამეტება არ იქნება,
 ყოველ შემოსავალისაგან მცირეოდენი ნაწილი მა-
 ინც შეეწირნათ სასცენო ნივთებისათვის და ამ გვა-
 რად შესაძლებელია რამდენიმე ხნის შემდეგ პა-
 ტარა თავნი შესდგეს თეატრის ფონდისათვის და ამ
 გვარად შესაძლებელი იქნებოდა რომ ფოთში თეატ-
 რალურს საქმეს ფესვები მოჰბოდა და ნიადაგი გავმა-
 გრებინა. ეს მით უფრო საჭიროა რომ ფოთელები
 თეატრს არ ერიდებიან და სხვა უბრალო საქმის
 მაგიერ წარმოდგენებზედ ივლიან—და თუ მაინცა
 და-მაინც ნამდვილს ესტეტიკურს არა, გონებრივ
 საზრდოს მისცემდა. როგორც შევეტყე ამ ცოტას
 ხანში აპირებენ წარმოდგენის გამართვასერთი
 ლარიბი სტუდენტისათვის იმედია რომ საზო-
 გადოება ბლომად დაესწრობა ამ საქველ-მოქედო

განზრახვას და სწავლის საშუალებას აღმოუჩინს ახალგაზდა მოსწავლეს.

ამ ქაშად ჩვენი სცენის მოყვარეთ მოაკლდათ ერთი ფრიად ნიჭიერი მოთამაშე ქ-ნი ელისაბედ ჭოჭუას მეუღლე. იმედია, რომ ხსენებული პირები მოიწვევენ, მით უფრო რომ შორს არ არის და არც პატივცემული ელისაბედ ჭოჭუა დაიზარებს ჩამოსვლას ამ სასარგებლო საქმისათვის.

ამ მოკლე ხანში გავაცნობ „თეატრის“ მკითხველებს ფოთის ბანკის საქმეებს და მის ავკარგობას.

ფოთელი

ხალხური გამოცანები

ველსა შატრასა რომელსა არიან იარებოდა,
კაცსა უნორტა სსხითა ხორცითა ეჩვენებოდა.

ერთი რამ არის უსულო, სიბრძნეს გამოცემს მიგვიჩინო,
სახლი აქვს წლობით ნაშენი, სურსას გამოცვლა უჭირსო,
ამისა გამძნობელსა მის სიბრძე ანარ უჭირსო.

სიბნელე ვსახე შეხარა, ჭკარი ქონდა მწარები
კაცისა შესინებელი ჯოჯოხეთისა მტკრები
ვეელანი ამის უბივით სრულად წაკვართვა ფერები.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოცხადებული იყო ჩემი სურვილი, რომ სიმართლის და ჭეშმარიტებას აღსადგენად და დასაცველათ შესახებ ჩემის და ბ-თ გულისაშვილების მოქმედებისა სოფელ საგარეჯოში, ამოგვეჩიხა მტოდნე და სინიდიანი კაცები, რათა მათ აღგილობრივ დაწერილებით ყოველივე გამოეციათ და ჩვენი ქართველი საზოგადოებისათვის დაენახებინათ ცხადათ, თუ ვის მხრივ არის ჭეშმარიტება და ვინ იბრძვის ხალხის კეთილ დღეობისათვის ბ-ნს გულისაშვილს დაუსახელებია თქვენს გაზეთში დიდ ფავლენოვით. ჩემის მხრივ ვასახელებ თ. მიხეილ მაჩაბელს. ვიმედოვნებ აქ დასახლებული პირი ინებებს იკისროს ეს საქმე და მობრძანდეს ს. საგარეჯოში სექტემბერს.

ამასთანავე საკიროთ ვრაცხ მოვასენო ქართველ საზოგადოებას, რომ აქამომდე ამ ზაფხულს ცხოვრობდი არა საგარეჯოს და ამისათვის გაზეთის შემწეობით ვერ დავასახელებ შემოსენებული მედიატორე მაშინვე, როდესაც ბ-ნი გულისაშვილს დაუსახელებია თვის მხრივ თ. ფავლენოვით.

1886 წ. სექტემბრის 2.

ა. ცხვედაძე

თეატრის კვირა

× მკითხველებს ესსომებათ ჩვენის გასეთიდან, რომ ამერაველებმა გამოჩენილი საფრანგეთის არტისტი ქალი სარა ბენზარი დაატუსაღეს ერთის რადან უსრულე საჭედილისათვის. ესლა გი აქაურ გასეთებში სწერის, რომ სარა ბენზარი თავისუფალია და ქ. სან-პაოლოში ისეთის აღტაცებით აყო მიღებული წამოდგენის შემდეგ, რომ მთელი ქალაქი, ეველა ქუჩები, ეველა სასლები სულ ერთიანად განათებული იყო სსკა-და-სსკა ფეროვან ცენტლებით და ჩირადნებითა, თითქოს რამე ეროვნული დღეობა ეოფილაიფოსო. მსოლოდ ამერავე და ამერაველები არიან ასეთნი, რომელნიც ერთი და იმავე დროს ვეროვანი განვიცხვაც იციან და შატვიანცემაც.

× საზარელი ამბავი მომხდარა ამ დღეებში ქაიარში იშვირის სტენაზე. თურმე ანდგენდენ ვეადის ოპერას: „ბალი მსკეებით“. გამოჩენილი მომღერალი ბნატონი ტლამანკა სსკათა შორის რენატის როლს თამაშობდა თურმე. მესამე მოქმედების დაწყების დროს ხდლს რადან სმაურობა და მადალი ღაშარავი მოესმა სტენიდან, გიდეო წუთი, გამოვიდა ტლამანკა და დაიწყო თავისი საუცხოო სიმღერა. მკრამ სმა თან-და-თან უხელდებოდა და ბოლოს სრულებით წაიქცა სტენაზე... მიკრდნენ მამინათვე და დაინახეს, რომ არტისტი გვერდში სისლი უხანდა. თურმე ტლამანკას კილაც არტისტისათვის „მწარე სიტუა“ უთქვამს, რის გამო ამ უკანასკნელს ხანჯალი დაუცია ტლამანკასათვის, და რადგან ტლამანკა გაჭკურებული ეოფილაიფო არც გი უგრძობია კრილობა. წამოდგენს გადადკვის. სხეულის დამკურული მამინათვე გაჭკურება.

× აი კიდეკ ერთი შესამწერებელი ამბავი: ქ. რეველში იყენენ თურმე ორნი მმანი ალექსანდრე და იული იანნები. ორივე მმსა შექვეარებათ ერთი ასლგაზდა ქალი, მკრამ უმცროსი იულის უფრო დიდი შთაბეჭდილებს მოუხდენია ქალზე და ქალსაც ჭევერება დადად; სოლო უფროსი ალექსანდრე ჩასცილებია უმცროსს მმსა. ამ უკანასკნელს ბეკრი უთხოვნია მმისათვის: ხუ მეცილები, თავი დაგკანებე, ბედნიერებას ხუ მიშლიო, მკრამ ალექ-

სასწრაფს სინდელადან არ ჰყოფინა „ბაკშის“ სიტყვები. (იული თურმე 16 წლის იყო) ერთსელ საღამოს როცა ალექსანდრე შინ ბრუნდებოდა გზაზე დაუხვდა იული და ისეთის ძალით და სისწრაფით დასჭა მის გულში ხსენდა, რომ უბედური იქვე მომკვდარა და კრინტიც არ ამოუღია. როცა იული შინ დაბრუნებულა დედას უკითხავს: მის სად არისო?

— მე რა გიცი სად იქნება, სადმე ქალებს ეკურ-ეკურება ალბათო, მიუგია მისს. მეორე დღეს როცა ანატოლიურ კაბინეტში ექიმები სკრიდენ ალექსანდრეს იულიც დასწრებას და აქ თურმე შოლიციას დაუჭირია. იული უარზე დგასო და მისს მკვლელობას მისივე ამხანაგებს აბრალბსო... საშინელი შედეგი იცის პირველად აღვხებულმა სიყვარულმა თუკი განება არ მისდგეს მას.

× გამომჩენილი ექიმი სუკვიმ კიდევე აკვირებს იტალიელებს თავის მოგონებით. სუკვიმ შეადგინა ისეთი კლექსირა, რომლის საშუალებით განს თურმე შეუძლიან უჭქელათ გასძლას 45 დღის განმავლობაში. სუკვიმ თვითან გასინჯა ამ კლექსირის თვისება თავის თავზე და 45 დღეში ლუკმა არ შეუჭამია. თურმე რამოცამდე ექიმებია დაეკნებული სუკვიის დარჯად, რომელნიც რიგ-რიგზედ თვალუურს ადებებენ სუკვიის, რომ არაფერი შესწამოსო. სუკვი მხოლოდ წყალს თხოულობს და ისიც სამს სტაქანს დღეში. იქნება მეტეორებამ ისიც მოიგონოს, რომ ადამიანს საჭმელი არ დასჭირდეს? .

ბიბლიოგრაფია

* * * ქართული მწერლობა ვერ დაიკვებს უცხო საკლასიკო მწერლობის თარგმანებს და თუ რორიდღე უცხოეთის თხზულებანი გვაქვს ისინი ვერ აღწევენ თავიანთ დანიშნულებას, რადგან არა პირდაპირ ორგინალებიდან არიან თარგმნილნი, არამედ თარგმანებიდან და ისიც რა ნაირი თარგმანებიდან—მხოლოდ ალახმა იცის. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ყოველ კუთხეში გაიძახიან უცხო, გამოჩენილი, საკლასიკო თხზულებანის თარგმანები არა გვაქვს გვეკირებოდა დასხვა. ეს ჩივილი საფუძვლიანი და საყურადღებოც ბევრნი იმის მაგიერ რომ თარგმნებს შესდგამოდათ, რაღაც თავიანთ თხზულებებს „იგონებენ“ და ასე დროს დაკარგვასთან უნაყოფო შრომის სიყვარულით უგემო და უაზრო თხზულებებით ამსებენ ჩვენს მწერლობას. ამიტომ ჩვენ განზრახვა გვქონდა დრო გამოშვებით მაინც გაგვეცნო მკითხველებისათვის საკლასიკო თხზულებანი, მაგრამ ღირსიანი და ჯერო-

ვანი თარგმნების უქონლობის გამო ღღემდე ვეღარ მოეხებრნეთ განზრახვისათვის ხორცი შეგვესხა. ხოლო ღღეს საშუალობა აღმოგვიჩნდა და კიდევ შეუდექით სურვილის განხორციელებას; თავი ივანე მაჩაბელს თურმე ამ ექვსის თუ შეიღის წლის წინეთ გადუთარგმნია პირდაპირ ინგლისურადამ „ჰამლეტი“, შექსპირისა და ეს თარგმანი პატივცემულ ავტორმა თავიზიანად დაგვითმო, რომელსაც ამ ნუმერშივე ვებქლავთ. ჩვენ ვაპირებთ აგრეთვე ჰამლეტის ცალკე წიგნებად გამოცემას.

კვირიდან კვირამდე

* * * წარსულს კვირას «იტალიის» ბაღში ღიღ დალი ხალხი იყო მოგროვილი. იტალიის ბაღი ჩვენი ქალაქისათვის წარმოადგენს იმასევე, რაც რომელიც ბისათვის წარმოადგენდა გლადიატორთა ამფიტეატრი. კვირა ისე არ გაივლის, რომ იტალიაში ქიღობა გამართული არ იყოს. წარსული კვირის ქიღობა ღიღ ინტერესს წარმოადგენდა ფიზიკური ღონის მოყვარეთათვის. სახელ განთქმული კულა გლადნელი უნდა დასქიდებოდა ახალგაზდას, არა გლადნელზედ ნაკლებად იმერეთში სახელ განთქმულს მეგრელს ნესტორ ესებუას. გლდანელს და ესებუას ამ ერთის წლის წინეთ უკვე უჭიღანიათ ბათუმში, მაგრამ დამარცხებულად თავი არც ერთს და არც მეორეს არ უცენია. ეს გარემოება მით რფრო საინტერესოდ ხდიდა კვირანდელს ქიღობას. საღამოს ხუთი საათი იყო, როცა გამოვიდნენ ორი მოწინააღმდეგე მოქიღავენი—ორივე მშვენიერი ტანადი, მხნე და მამაცი, მაყურებელს სიამოვნებით ევსებოდა გული. გლდანელმა სამჯერ ზურგული უყო ესებუას და თითქმის წაქცეულიც ყვანდა, მაგრამ ცქციტი და მარჯვე მეგრელი მაშინვე ფეხებზედ წამოდგა და ხელ-ახლად შეეჯახნენ, მეორედ მოგვერდი უყო გლდანელმა, მაგრამ ესებუა ისევე ფეხზედ იღგა, მესამედაც თითქოს წაქცია გლდანელმა, მაგრამ აქაც კატასავით წამოხტა ესებუა, ჰკრა ხელი გლდანელს და ერთს წუთს პირაღმა გადააქცია, გლდანელსაც უნდოდა ესებუასავით ზეზე წიმოდგომა, მაგრამ გაუძნელდა, ესებუამ მიძიდ დასცა. მივარდა ხალხი და გააშველეს. ატყდა ყაყანი, მომეტებული პირუთენელი ამბობდნენ, რომ ესებუამ გაიმარჯვაო, ზოგნი კი ამბობდნენ გლდანელმა აჯობაო. რაც უნდა იყოს ნესტორ ესებუა კარგი მოქიღავეა და ამასთანავე პატიოსანიც, არც ფეხებზედ ხელების წავლა, არც სხვა რამ ეშმაკობა არ იცის და არც უნდა რომ იცოდეს. გლდა-

ნელი კი ამით ვერ დაიკეხს... ჩვენ ბევრი მაგალითები ვიცით, როდესაც გლდანელს არა საბატყებელი ეშმაკობით, სთვალწუნო საქციელით გამარჯვებული გამოსულა ხოლმე. შესამჩნევია აგრეთვე დაბალი ხალხის ალტაცება «ძლიეს» ძლიეს, ამბობდნენ ისინი. აქ უადგილო არ იქნება დაებეჭდოთ ერთი ლექსი, რომელიც ვილაც კირვალიძეს შეუთხზავს ამ ქილაობის გამო.

კულა გლდანელის და ნესტორ ესებუას ჭიდაობა

ოცდა თერთმეტს აგვისტოსა
ხალხი მიდის ბალშიაო,—
იძახიან ესებუას
შეუძლია მკლავშიაო.
თფილ ქალაქში ერთი გეყვდა.
სახელ განთქმული გლდანელი,
იმერელმა წააქცია,
დავრჩით პირ დაუბანელი.
პირველად ზურნა დაუკრეს,
კულა გადის შეელივითა;
მაგრამ ჩვენი ესებუა
გამოხტოდა მწყერივითა.
ნესტორი ლეკურს თამაშობს,
შემდეგ ჩერდება შუაზე,
დაბლაზე ყველას თავსა უკრავს,
მერე იწევა კულაზე...
ყველას უძგერს გული მკერდში:
ნეტა ვინ ვის წააქცევსო,
სირცხვილს ვინ სჭამს, ვინ იხარებს.
ვინ აღიდებს თავის ერსო?
ჰა, მივარდნენ ერთმანეთსა,
შიშით შეიძრა ყველაო.
გაჰკრეს სარმა, ზურგულეები...
ფერხედ იცვლება კულაო;
ერთი კიდე: და გათავდა,
მაგრამ, თქვენს მტერს რა ვნახეთო:
კულა მიწას გაიშლართა,
აბა, ურა შესძახეთო.
კროები გაიძახიან:
ბიჭო სირცხვილ არ ვჭამოთო:
იმერელმა რომ გვაჯობა:
ესლა რაღათ ვიცოცხლოთო.
მაგრამ მისთანა თქვენს მტერსა,
ხალხმა დასძახა „ურაო“,
ამ ჩვენ ესებუამა
ქვეშ ამოიგდო კულაო!

«თეატრის» ფოსტა.

დაბა ყვირილში ბ—ნს თ. სუსკიავაძეს თქვენი წერილები მივიღეთ, დიდათ გმადლობთ. თავის დროზედ, რაც იგამოდგება, დაიბეჭდება.

სიდანადში, კელისციხეს. თქვენი მოთხრობა ვერ დაიბეჭდა.—

სონში ბ—ნს ს. ჭიჭინაძეს. ჩვენ არ გვემის, რომელ პირობაზე პრპანებო. ჩვენ, თუ შესიერება არ გვალაბობს, თქვენთვის არავითარი პირობა არ მოგვცია. ადრესი მაინც შეგატყობინეთ თქვენი, რომ თხოვნა ავისრულოთ.

სურამში ს. ს. ს. გაზეთი „თეატრი“ სეკტემბრიდან წლის დამლევაზე 2 მანეთი ღირს.

სამურში ბ—ნს ტ—ნს. თქვენ კიდე ერთი მანეთი უნდა გამოგზავნოთ. მართალია გაზეთი „თეატრი“ ღირს 5 მან წელიწადში, ხოლო როცა ამ ფულს ეთიბაშთ შემოიტანენ ხოლმე, ვინც 3 მან. შემოიტანს იმას კიდე სამი მანეთი გამოურთმევის წლის მეორე ნახევარისათვის და რომელთაც ორთ მანეთი შემოაქვთ, იმათაც გაზეთი ექვსი მანეთად უფდება. აქ გვონებთ გაუგებარი არაფერი არ არის რა.—

ქარელში. ბ—ნს ფანასკენტელს. თქვენი ლექსები მივიღეთ, მაგრამ დასაბეჭდათ არ გამოდგება,

სონში ბ—ნს წერეთელს. (წიგნის მაღაზიაში). თქვენი პახუნი მივიღეთ, ნუ დაიზარებთ და რაც გასასყიდათ გქონდათ გამოგზავნილი და არ გაყიდულა უკან დაგვიბრუნეთ.

რედაქტორ-გამომცემლის მაგური ვალერიან გუნია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი
თბილისის სახალაჰო ბაზემოზა

ამით საუბრელებად აუწყებს, რომ ამა სეკტემბრის 4-იდან ეოკულ დღეობით დილის 9. საათიდან 2 სათამდე შეიძლება ნახონ სია ქალაქის ამომრჩეველებსა და მომკვალ ოთხი წლის ვადაზე 1887—1890 წლამდე. იმ პირთ, რომელნიც შეცდომით არიან შეტანილნი სიაში, ან სრულებით არ არიან დაწერილნი, შეუძლიანთ თხოვნით მიჰმართონ გამკეობას ამა სეკტემბრის 7—21-მდე. თხოვნა თავის დროზე მოხსენებული იქნება საბჭოს წინაშე. გამკეობის წვერი სოხროვეი (3—1.)

საკვირაო რეპერტუარი რუსულ ოპერისა.

- 7 სეკტემბრიდან 13 სეკტემბრამდე. კვირა. 7 სეკტემბერს. სონამბულა.
 - ოქტომბ. 8 ,, ჰულგენოტი.
 - სამშაბ. 9 ,, ეგენი ონგინ.
 - ოთხშაბ. 10 ,, სივილიელი დალაქი.
 - ხუთშაბ. 11 ,, დიდი რეპერტუარია ტანჯიურისა.
 - პარასკეები 12 ,, ტანჯიურისა.
- ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასწყისი 8 საათზედ.